# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დასდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).


№ 3 **1883-1891** 15 თებერვალი.



გაზეთის ფასი:

| «მწყემსი» | | «მწყემსი» რუსული გამოცემით | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 5 მან. | 12 თვით | 6 მან. |
| 6 — | 3 — | 6 — | 4 — |

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით *въ Кутаисъ, Въ редакцію „Мцкемси" и „Пастырь".*

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც იქნებიან დასაბეჭდავათ გამოგზავნილნი ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაუბრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.


## ახალი მოწყალებითი მოვლინება ღვთისა.

მოწყალემან უფალმან კეთილ ინება გამოჩენა ახალი სასწაულისა: განიკურნა ღვთის-მშობლის ხატის წინაშე დღიდგან დაბადებისა მძიმე ავადმყოფი ყმაწვილი, რომელსაც დიდ-ხანს ექიმობდნენ, მაგრამ ყოველ გვარი ექიმობის შემდეგ იგი იცვნეს მოურჩენელ სნეულად. განიკურნა ყმაწვილი, რომელსაც წინათვე ეწყა ეს განკურნება, რომ ესრეთი მოვლენა არაეის მიეწერა უბრალო შემთხვევისათვის, განიკურნა იგი მსწრაფლად მთხვევისათანავე წმიდა ხატისა. აი გარემოება ამ ყოვლად შესანიშნავი საქმისა:

ქალაქს პეტერბურგში ტაძრად მიყვანების ეკკლესიის სამრევლოში ერთს ოჯახობას 3-ს დეკემბერს 1876 წ. დაებადა ვაჟი, რომელსაც უწოდეს სახელად ნიკოლოზი პატივად და მოსახსენებლად წმ-დათა შორის მამისა ჩვენისა და საკვირველ მოქმედისა ნიკოლოზისა. მისი ვაჟისა მართლ-მადიდებელი იყო, ცოლი, შთამომავლობით ნემეცის ქალი, წინეთ ლოთერანგის აღსარებისა იყო, მაგრამ ვაჟის დაბადებამდის თავისი ნება-ყოფილებით და სურვილით მიიღო მართლ-მადიდებელი აღსარება. დაბადებიდგან ნიკოლოზი იყო სუსტი და სნეული; შვიდ წლამდის ფეხი არ აუდგამს და საზოგადოდ პატარაობითვე დიდი სნეულება გამოიარა. ამ ბავშვის სნეულებას

ბიბლიოთეკა

ზოგიერთები იმას მიაწერდენ, რომ დედა მისმა ორსულობის დროს გამოიცვალა სარწმუნოება და დედას ამისთვის დიდი მწუხარება და საყვედური მიადგა. 1886 წელში ერთს დროს გარდაიცვალენ მშობლები ნიკოლოზისა და ის დარჩა თავისი კეთილ-მორწმუნის ახალ-გაზდა დის მზრუნველობაში. დედის დამარხვის დღეს დაემართა მას ავი ზნე და ეს სნეულება თავდაპირველად იშვიათად, მაგრამ ბოლოს დროს ძლიერ ხშირად ემართებოდა. ამ სნეულების მოსვლის დროს იგი ყოველთვის იმანჭებოდა და იბერებოდა, სევდიანივით სტიროდა, ტანში ამტვრევდა, ჩხრუკავდა, და შეაკრთუნებდა, ასე რომ ნახევარ ალაბზე აგდებდა მაღლა და კრაოტიდგან და სკამიდგან ჩამოაგდებდა. მისი სხეული ისეთ სახეს მიიღებდა ხოლმე, რომ იფიქრებდით, მის ტანში ძვლები არ არისო. კეთილ-მოსიყვარულე მისმა დამ იხმარა ყოველი ზომა მის მოსარჩენად, მაგრამ ყოველივე დარჩა ამაოდ. ამ ჭაბუკის და ვრცლად მოგვითხრობს თავის ძმის ავადმყოფობის ისტორიას. «ჩემს ძმას, ამბობს და, სწამლობდა პეტერბურგის რვა სხვა-და-სხვა გამოჩენილი ექიმი, მათ ყოველივე ღონე იხმარეს ჩემი ძმის მოსარჩენად, მაგრამ ყოველი საშუალება უქმი გამოდგა. მკურნალნი ხან სახლში ექიმობდენ ჩემს ძმას და ხან სამკურნალოში იწვენდენ. მაგრამ ჩემი ძმა არა თუ ვერ განჰკურნეს მათ, ცოტა-ოდნათაც ვერ შეუმსუბუქეს სენი; ავადმყოფობა უფრო-და-უფრო ძლიერდებოდა. 1890 წელში, ნოემბრის თვეში ავადმყოფი ველარ ხმარობდა ხელსა და ფეხს, წამალსაც ველარ იღებდა, დღე და ღამეში ავი-ზნე მოუვლიდა ხოლმე რვა ჯერ. როცა ყოველივე საშუალება ვიხმარე და მორჩენის მაგიერ ავადმყოფი ხელებსა და ფეხებს ველარ ხმარობდა, დავრწმუნდი, რომ სიკვდილი აუცილებელი იყო და ამიტომ მოუწოდე ჩემს სულიერს მოძღვარს, რომ ალსარება ეთქმევინებინა ძმისათვის და ეზიარებია. სწორედ ამ დროს ღმერთმა მოუვლინა ჩემს ძმას თავის ღვთაებრივი მადლი. ძმას გამოეცხადენ ძილში ზეციური დედოფალი, წმ. ნიკოლოზი და კიდევ ერთი წმიდანი თეთრი ბარტყულით, რომელზედაც გამოსახული იყო ჯვარი. ზეციური დედოფალი მიუბრუნდა ავადმყოფს და უთხრა: «ნიკოლოზ, წადი სამლოცველოში, სადაც ჩამოცვივდენ ფულები. 6 დეკემბერს შენ განიკურნები, მაგრამ წინ-და წინ არავის უთხრა ეს ამბავი». ავადმყოფმა დიდი მღელვარება გამოსცადა დანიშნული დროის შესრულებამდე. ბოლოს, 6 დეკემბერს, ავადმყოფის ანგელოზის დღეს, ძმას ძლივს ჩააცვეს, ჩაიყვანეს კიბეზე და წაიყვანეს აღნიშნულს სამლოცველოში *). ჩემი სახლიდგან სამლოცველომდის იქნება სულ შვიდი ვერსი. გზაზე ავადმყოფს მოუვარა ავმა ზნემ. როგორც კი შეიყვანეს ავადმყოფი სამლოცველოში, მას ხელმეორედ მოუვარა ზნემ. ავადმყოფი დააწვინეს წმ. ხატის წინ. სახარების კითხვის დროს ავადმყოფი მოვიდა გრძნობაზე. როცა იწყეს გალობა: **არა გვივის სხვა შემწე, არა გვაქვს სხვაზე სასოება, გარდა შენისა, ღვთის-მშობელო,** ავადმყოფი აიყვანეს და ამთხვიეს ხატს. იმავე წამში მან გამოისახა პირჯვარი და წამოდგა ფეხზე როგორც კარგად მყოფი და ერთი კიდევ ემთხვია ხატს. ამ დღიდგან აგერ ექვსმა კვირემ გაიარა და ჭაბუკი სრულიად კარგად არის».

რა დიდს ნუგეშს და დარიგებას გვაძლევს ჩვენ ეს უეცარი და სრული განკურნება ავათმყოფისა.

ყველაზე პირველად კაცს გული ევსება სიხარულით და უძლიერდება სარწმუნოება ღმერთზე, ჩვენს მაცხოვარზე. **ვინ არის ღმერთი დიდი, როგორც ღმერთი ჩვენი, შენ ხარ ღმერთი შემოქმედი სასწაულებისა!** ჩვენს დროში, როცა ასე იმატა ურწმუნოებამ, კიდევ უფრო სასიხარულოა ამისთანა სასწაულები მაცხოვრის ყოვლად ძლიერებისა, მისი გამოუთქმელი მოწყალებისა. მაშასადამე არ არის ისე·

---

*) ღვთის-მშობლის ხატის სამლოცველო, რომელსაც ეწოდება სახელად ყოველთა მწუხარეთა სიხარული, არის ალექსანდრე ნეველის ლავრის მახლობლად, შლისელბურგის გზაზე, შუშის ქარხნის მახლობლად. 23 ივნისს 1888 წლისა საშინელი ქუხილის დროს მეხი დაეცა ამ სამლოცველოს, დაგლიჯა ხის გუმბათი, დალეწა ყოველივე სამლოცველოში, ასე რომ ამ ხატის ჩასასვენებელი ბუდეც დაზარალდა, მაგრამ ღვთის-მშობლის პირის სახე უვნებლად დარჩა, მხოლოდ ხატზე იყო მიკრული რამდენიმე გროშის ფული, გადმოცვენილი მეხისაგან საეკკლესიო ყულაბისაგან. სამლოცველო ხელახლად გაახლეს და მორწმუნეთა იწყეს მასში სალოცავად სიარული. ამ ხატს ყველანი სასწაულ-მოქმედად რაცხავენ. მეხის დაცემის დროს ძლიერად ნახშენები შავი ფულები ისე ნაირად მიეკრნენ ხატს, ვითომ კაცს საგანგებოდ გაეკეთებინოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი რამ მწუხარება რომლიდგანაც მაცხოვარს არ შეეძლოს მორწმუნეთა გამოხსნა და ნუგეშის ცემა, არ არის ისეთი უფსკრული ბოროტებისა, რომლისაგ ნ მაცხოვარმა ვერ იხსნას კაცი.

დრო ურწმუ ოებისა არის ჟამი განსაცდელთა და უბედურებათა რამდენი მწუხარება გამოიწვია კაცობრიობაში ამ დამღუპველმა ურწმუნოებამ? და ვინაიდგან კაცთა შორის არსებობს მჭიდრო და განუყრელი კავშირი, ამიტომ ცოდვილებთან ერთად იტანჯებიან მართალნიც. ცოლ-ქმართა შორის უთანხმოებამ, ხშირმა თავის-მკვლელობამ, მშობლების წინაალმდეგმა და გაუგონარმა შვილებმა, ოჯახებში უთანხმოებამ და სიღარიბემ იმოდენად გაამწარეს სიცოცხლე, რომ დღეს კაცს ეს სიცოცხლეც აღარაფრად უღირს. სხვა-და-სხვა ავადმყოფობანი, რომელნიც წინეთ არც კი გაუგონია კაცს, დღეს ხშირი მოვლენა არის, და აი ამ მწუხარებათა და უბედურებათა შორის იჩინა თავი ღვთის მოწყალებამ, აღმოჩნდა დაუშრეტელი წყარო განკურნებისა. ხელახლად იჩინა თავი ღვთის-მშობელმა, რომელმაც არა ერთგზის იხსნა კაცთა ნათესავი უბედურებისაგან. წმ. ღვთის-მშობლის ხატის გამოცხადება, რომელმაც განჰკურნა მძიმედ ავადმყოფი, ფრიად შესანიშნავია.

ფრიად საგულისხმოა აგრეთვე ყველა გარემოებანი, რომელნიც წინა-უძღოდენ ამ ავადმყოფის განკურნებას ღვთის შემწეობით. ეს გარემოებანი თითქმის განგებ არიან მიმართულნი ეხლანდელი დროის სულიერ წყლულებათა წინაალმდეგ. რა ზომებით უნდათ შეაცდინონ ხალხი და მიატოვებინონ მათი წინაპრების ჭეშმარიტი გზა? რანაირი გრძნობანი და რწმუნებანი არყევენ ჩვენს დროს? ამბობენ: გვწამდეს ერთი ღმერთი, რა საჭიროა წმიდანების შუამავლობა? სასწაულებრივი შემწეობა ღვთისა მიენიჭა სნეულს უფლისაგან წმიდანების შუამავლობით და განსაკუთრებით ყოვლად წმიდა ღვთის მშობლის მეოხებით. ურიცხვ წმიდანებთა და ღვთის სათნო პირთაგან გვეცხადებიან ჩვენ ყოვლად წმიდა ღვთის-მშობელთან ერთად ჩვენი ძველი ეკკლესიის მღვდელ-მთავარი წმ. ნიკოლოზი, მსწრაფლი შუამდგომელი და დიდი, საკვირველთ-მოქმედი, დიდებული მრავლითა სასწაულებითა, განსაკუთრებით რუსეთში და მასთან რუსეთის ერთი უცნობი მღვდელ მთავარი—მიტროპოლიტი, ვინაიდგან თეთრი ბარტყული მარტო მიტროპოლიტებს აქვსთ. ასე, ღვთის მოწყალებით, როგორც წინეთ ყოველთვის, ისე დღესაც უფალი შეიწირავს ღვთის სათნოთა და წმიდა პირთა ვედრებითი შუამდგომლობას, აღვლენილს ღვთისადმი ჩვენ ცოდვილთათვის.

ეს განკურნება, დამტკიცებული და დამოწმებული თვით სნეულისა და მნახველთაგან, წააგავს სახარებაში მ თხრობილ სასწაულებრივი სახით მომხდარ კურნებათა. ამ ჭაბუკის ცხოვრება, ტანჯვა, ექიმობა და განკურნება ცხადად მოგვაგონებს ჩვენ იმ დროს, როდესაც თვითონ მაცხოვარი მოვიდა ქვეყნად და ჰკურნებდა სნეულთა. იესო ქრისტე, იტყვის მოციქული პავლე გუშინ და დღეს და იგივე უკუნისამდე (ებრ. 13—8).

ჭაბუკის დის ჩვენებასა და მოწმობაში ჩვენ ვკითხულობთ შემდეგს: «ნიკოლოზ გრაჩევი დაიბადა 3 დეკემბერს 1876 წელსა. დაბადებიდგან იგი იყო სუსტი და სნეული ფეხი ვერ აიდგა შვიდ წლამდე. პატარაობაშივე ხშირად ავადმყოფობდა. დედა მისი იყო ნემცის ქალი, ლოთარანგის აღსარებისა, მაგრამ ორი თვით წინეთ ამ ჭაბუკის დაბადებამდის თავისი სურვილით მიიღო მართლ მადიდებელი აღსარება. 1885 წელში თითქმის ერთ დროს გარდაიცვალენ ნიკოლოზის მშობლები. დღიდგან დედის სიკვდილისა იგი ავადმყოფობდა ავიზნით, თავ და-პირველად იშვიათად მაგრამ ბოლო დროს ძლიერ ხშირად. ბოლო დროს ავზნეს დაენადა კიდევ სხვა სევდის სნეულებანი. ამ სნეულებათაგან მეტის-მეტად იტანჯებოდა. თუმცა გამოჩენილმა ექიმებმა მიიღეს ყოველივე ზომა მის ექიმობაში და გულით და ყურადღებით ეკიდებოდენ, მაგრამ არა თუ ვერ მოარჩინეს, არამედ სრულებით ვერ შეუმცირეს ტანჯვა და გვემა სნეულს. ავიზნე მოუვლიდა დღეში 6, 8 და 10-ჯერ. 13 ნოემბერს 1890 წ. მას სრულებით მოსტაცა ფეხები, ხოლო 25 ნოემბერს 1890 წ.—ხელები. მას არ შეეძლო ერთი თითი გაენძრია, ისე მოსწყდა ხელ-ფეხი, მორჩენის იმედი სრულებით არ იყო, ამისათვის ის ვაზიარებინე მღვდელს. განსაკუთრებით ცუდათ შეიქნა ორიდგან სამს დეკემბერს. ავიზნე გაძლიერდა ღამის პირველი საათიდამ დილის შვიდ საათამდის. ამის შემდეგ მან დაიძინა. ძილის დროს იმას მოეჩვენა, რომ ოთახი განათლებულია და გაიგონა ხმა: ნიკოლოზ! იმან დაინახა ღვთის-მშობელი, წმ. ნიკოლოზი და ერთი ღირსი თეთრ ბარტყულაში. ყოვლად წმიდა ღვთის-მშობელმა უთხრა: ნიკოლოზ, წადი სამლოცველოში, სადაც ფუძლები ჩამოკიდებენ. მესამეს დეკემბერს შენ განიკურნები, გარნა აღარ არავის უთხრა. დიდის ხვეწნის შემდეგ დავსთანხმდით მას სამლოცველოში წაყვანაზედ. როდესაც მიგვყავდა გზაში მოუარა ავმაზნემ და სამლოცველოშიდაც დაემართა. სხვა მისი ჩვენება ზემოთ არის მოყვანილი. («საეკ. უწყებანი»).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პირველად ვის უფრო ცუდი ზედ გავლენა აქვს ბავშვებზე?

### (მღვდლის საუბარი სამწყსოსთან).

ჩვენს დროში მშობლები ხშირად უჩივიან შვილებს, რომ იგინი არ ემორჩილებიან მშობლებს, პატივს არ სცემენ მათ, მრავალს მწუხარებას და უბედურებას აყენებენ თავიანთ მშობლებს და ხშირად შვილები თავიანთი ცუდი ყოფაქცევით უდროოდ უთხრიან სამარეს მშობლებს. რა უნდა გითხრათ მე ამის შესახებ, ჩემო სულიერნო შვილნო? აი რას გეტყვით და თქვენ ყური დამიგდეთ!

**თ**უ უფალმა მოგცათ თქვენ შვილები და გინდათ, რომ ისინი კარგი, სასარგებლო და პატიოსანი კაცები გამოვიდნენ, თქვენ თვითონ უნდა უჩვენოთ მათ პირველად კარგი მაგალითი. პირველად აი როგორ უნდა მოიქცეთ თქვენ. მშობლების კეთილი ცხოვრება ყოველ დარიგებაზე უკეთესად ასწავლის შვილებს ყოველს კეთილს. თუ თქვენ სცხოვრებთ ცუდად, და ბავშვებს კი ეუბნებით, რომ მათ კეთილად იცხოვრონ, მაშინ ძალიან საეჭვოა, რომ თქვენი ნატვრა აღსრულდეს. იშვიათი შემთხვევა, რომ ცუდ მშობლებს კარგი შვილები გამოვიდესთ. ცუდი თესლისაგან ცუდი ნაყოფი აღმოცენდება. მუხა ყურძენს ვერ მოისხამს. ბავშვები პატარაობიდგანვე ეჩვევიან მშობლების ცუდს საქციელს. იმას ნუ იტყვით, ვითომ პატარა ბავშვებს არასფერი გაეგებათ. არა, ისინი უფრო ბევრს ითვისებენ, ვინემ ჩვენ ვფიქრობთ. პირველ წელშივე, როცა ბავშვს ჯერ კიდე ლაპარაკი არ შეუძლია, არ ესმის არც ერთი სიტყვის მნიშვნელობა, იგი სცნობს თავის დედას, უცნის დედას, როცა ეს უკანასკნელი ელერსება და ეფერება თავის პატარა შვილს და სტირის, როცა დედა უყვირის და უჯავრდება მას. რაღა უნდა ვსთქვათ დიდს ბავშვებზე? ისინი არა თუ ითვისებენ, რაც ესმით და რაც ხდება მათ თვალის წინ, არამედ ნიშნავენ ყოველ ჩვენს მცირე მოქმედებას და გვძრახავენ. თუ ეს ასეა, მაშ როგორი კაცი უნდა გამოვიდეს ის ბავშვი, რომელიც ხედავს, რომ მისი მამა მუდამ მთვრალობს, მუდამ ცუდს სიტყვებს ლაპარაკობს და არას დროს ეკკლესიაში არ დაიარება. ნამდვილია, რომ იგი გამოვა მათის მსგავსი. ეს უმეტესად ასეც ხდება. თუ თქვენა გსურთ, რომ თქვენი შვილები გამოვიდნენ პატიოსანნი და კეთილ-მომქმედნი, პირველად თქვენ უნდა იქმნეთ ასეთები. აი რას ამბობს ტიტე: ყოველივეში თავსა შენსა სახედ მისცემდი კეთილთა საქმეთა შინა (2, 7).

მეორედ, ნუ ასათუთებთ თქვენს შვილებს, ნებას ნუ მისცემთ მათ, რომ რაიმე ცუდი ჩაიდინონ. ვინც არასფერს არ უშლის თავის შვილს, შენიშვნას არ აძლევს მათ ცუდი საქციელისათვის, ის არის უპირველესი მტერი თავის შვილებისა. ძველს აღთქმაში იყო ილია მღვდელ-მთავარი, რომელიც მუდამ სწუხდა და სტიროდა თავის შვილების ცუდს საქციელზე და თვითონ კი ხმას არა სცემდა მათ. რა შეემთხვა მას? მისი შვილები დახოცეს და თვითონ უეცრად გარდაიცვალა, როცა გაიგო შვილების სიკვდილი. ღმერთმა დასაჯა ის და მისი შვილები იმისათვის, რომ მამა არ სჯიდა შვილებს, როცა იგინი ღირსნი იყვნენ ხოლმე დასჯისა. წერილში ჭეშმარიტად არის ნათქვამი:

თქვენ, როცა შენიშნოთ, რომ თქვენი შვილები რაიმე ცუდს სჩადიან, თავის უცოდინარობისა გამო, და არ იციან, რომ მათი მოქმედება ცუდია, ვალდებული ხართ, დაუშალოთ მათ და აღუკრძალოთ, რომ მათ ეს თავისი ცუდი მოქმედება შემდეგში არ გაიმეორონ. უთხარით თქვენს შვილებს, რომ მათ არ გაბედონ ეს! რადგან ასეთი მოქმედება სასირცხო, ცუდი და ცოდვაა. თუ მათ არ გაგიგონონ, მაშინ დასაჯეთ ისინი. მაგრამ ეცადეთ, რომ თქვენგან დანიშნული დასჯა მათთვის სასარგებლო და კეთილ გზაზე დამყენებელი იქმნეს, ამიტომ დასაჯეთ ისინი სიყვარულით, და არა წყრომით და ლანძღვა-გინებით. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი დასჯა უფრო გააბრაზებს თქვენს შვილებს. ისინი უფრო გაჯავრდებიან, მათში გაჰქრება თქვენდამი სიყვარული, იგინი ეცდებიან, რომ ფარულად ჩაიდინონ ყოველივე და ეს უფრო მავნებელი იქმნება. მამანი, იტყვის წმ. მოციქული პავლე, ნუ განარისხებთ შვილთა თქვენთა, არამედ განზარდენით იგინი სწავლითა და მოძღვრებითა უფლისათა (ეფეს. 6, 4). მასთან მოაშორეთ თქვენი შვილები ცუდს საზოგა-

დოებას და ამხანაგებს. ვინაიდგან ცუდი მაგალითები გადამდებნი არიან. ცუდი საუბრები აფუჭებენ ყმაწვილებს.

გარდა ამისა, თუ გსურთ, რომ თქვენი შვილები გამოვიდნენ კარგნი და კეთილ-მომქმედნი, ევედრეთ მათთვის უფალს. უღმერთოდ არასფრის კეთილის გაკეთება არ შეიძლება. ვინც განეშორა ღმერთს, მას დაკარგული აქვს ყოველივე. თვით უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ სთქვა: თვინიერ ჩემსა არა რაი ძალ-გიძსთ ყოფად არცა ერთი (იოან. 15, 5). პატარაობიდგანვე ასწავლეთ თქვენს შვილებს ღვთის ვედრება, და როცა მოიზრდებიან თან ატარეთ ხოლმე იგინი კვირა-უქმე დღეებში ეკკლესიაში. ასწავლეთ მათ ყოველივე კეთილი, პატიოსანი და კარგი, და ყოველივე ეს ასწავლეთ მათ ყველაზე პირველად თქვენი ცხოვრებით და მაგალითით. ხოლო როცა მოიზრდებიან ისინი, მაშინ მხოლოდ საჭირო იქმნება უჩვენოთ მათ თქვენს ცხოვრებაზე და უთხრათ მათ, შეიყვარონ ის, რაც თქვენ გიყვართ და მოერიდონ მას, რაც თქვენ არ მოგწონთ. ისინი დიდის სიამოვნებით გაგიგონებენ თქვენ და ღვთის იმედით კაი კაცებიც გამოვლენ.

## კიდევ ამაო-მორწმუნეობის და მავნებელ ჩვეულებათა მოშლის გამო.

ჩვენს ხალხში მტკიცედ აქვს გადგმული ფესვი მრავალ უაზრო ჩვეულებას და ამაო-მორწმუნეობას, რომელიც სულიერად და ხორციელად აღარიბებს სოფლის გაუნათლებელს ხალხს. ვინ მოსთვლის, თუ რამდენი უბედურება სდება ჩვენში ზოგიერთი ჩვეულებისა და ამაოდ მორწმუნეობისაგან! და ვინაა ყველაზედ უფრო ვალდებული, რომ მოსპოს ხალხში ეს მავნე ჩვეულებანი და ამაოდ მორწმუნეობანი? ყველაზედ პირველად ვალდებულია მღვდელი. ერთი უპირველესი დანიშნულებათაგანი მღვდლისა ისაა, რომ მისდამი რწმუნებულ სამწყსოში მოსპოს ყოველივე მავნე ჩვეულებანი. მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ქვემო მოყვანილიდამ დავინახავთ, ზოგიერთნი მღვდელნი არამც თუ თვითონ არ სცდილობენ, რომ მოსპონ ხალხში ესრეთნი ჩვეულებანი, არამედ სხვებსაც (თავის მომმეებს) ხელს უშლიან ამ საქმეში.

ყველამ კარგად იცის, ვინც კი თვალ-ყურს ადევნებს ჩვენი ხალხის მიმდინარე ცხოვრებას, თუ რამდენი უბედურება ხდება სოფლებში რომელიმე დღესასწაულზედ, ანუ როგორც ხალხი ეძახის «დღეობაზედ». ვსთქვათ რომელიმე სოფელში დღეობაა. ამ სოფლის მცხოვრებნი რამდენიმე კვირით ემზადებიან დღეობისათვის, რომ სხვა სოფლებიდამ მოსულ ნათესავებს და ნაცნობებს გაუმასპინძლდნენ. აღნიშნულ დღეს მოდიან სტუმრები, მასპინძლები პატივსა სცემენ მათ. წირვის დროს მასპინძლები თავიანთ სტუმრებით გავლენ ეკკლესიაზედ, მაგრამ ეკკლესიაში თითქმის არ შედიან, სხედან ეკკლესიის გალავანში, ბაასობენ და იცინიან. ეკკლესიაში ათ კაცს ვერ ნახავთ მლოცველს. წირვის გათავების შემდეგ სტუმრები მიდიან მასპინძლებთან, სხდებიან სადილად და საღამომდის ლოთობენ, საღამოს დამთვრალნი გამოდიან ისევ ეკკლესიის გალავანში. ზოგნი ცხენებით და ზოგნი ქვეითად. ირევა-დაირევიან ერთმანეთში: ცხენოსნები, ქვეითნები, ქალი, ბავშვი, ფხიზელი და მთვრალი...... ზოგნი ვითომც ჯირითობენ, ზოგნი ბურთაობენ, ზოგნი თამაშობენ დაირაზე და სხვ... აგერ შეიქნა უცნაური წივილ-კივილი! რა მოხდა? მთვრალმა გაგიჟებულმა ცხენი დაასტაკა ქვეით ქალ-კაცთა გროვას! ზოგს ფეხი მოსტეხა, ზოგს ხელი. აგერ რამდენიმე კაცს ხმალ-ხანჯლები და დამბაჩები ამოუღიათ და გაცოფებული ნადირივით დასდევენ ერთმანეთს მოსაკლავად! გესმის დამბაჩების ხმა და საზარელი წივილ-კივილი! ვინმე უცხოელმა რომ ნახოს ეს სურათი, იფიქრებს, აქ უთუოდ გაცხარებული ომიაო. ერთის სიტყვით კალმით ვერ აწერს კაცი იმ გულის შემაწუხებელ სცენებს, რომელსაც კაცი ნახავს ჩვენს დღეობებზე. შემდეგ ისევ მასპინძლებისას ბრუნდებიან თავის პატივცემული სტუმრები და ხელახლავ იწყებენ ლოთობას. ამ ნაირად ორ-სამ დღეს ლოთობენ. კიდევ კარგი თუმც მეოთხე-მეხუთე დღეს გაახსენდებათ სტუმრებს თავიან ოჯახებში წასვლა! ასე თავდება ჩვენებური დღეობა. იშვიათი შემთხვევა იქმნება, რომ ერთი კაცი მაინც არ იმსხვერპლოს რომელიმე დღეობამ დაჭრილთა და დასახიჩრებულთა გარდა.

ესლა ვნახოთ, თუ რა შემოსავალი აქვს ეკკლესიებს ამ დღეებში. ზოგან ეკკლესიას ამ დღესასწაულ დღეებში ერთი კაპიკი არ შემოდის მლოცველთაგან. ერთი მანეთის სანთელიც არ ისყიდება ამ დღეს ეკკლესია-

ში. თუმცა ზოგან კი აქვს ეკკლესიას შემოსავალი, მაგრამ ისიც ძირშია! მლოცველთ მოაქვთ შეწირვა, ნატეხი სანთელი და ღვინო ეკკლესიის შესაწირავად. მესვეები უნდა «შემოსავლის» მლოცველს თავზედ მღვდელმა, ან სტაროსტამ, პური და ღვინო მღვდელსა, და ეკკლესიას ერთი გროშის სანთელი. აი რაში მდგომარეობს ბევრგან ჩვენებური დღეობა.

უკველა მწყემსი უნდა ეცადოს, რომ ამგვარი ორ-სამ რიგათ დამამცირებელი «დღეობები» მოსპოს სოფლებში. სოფლის მწყემსნი შეერთებული ძალით უნდა ეცადნენ ამ დღეობათა მოსპობას. მაგრამ სადაა ერთობა! სადაა თანხმობა? სადაა ქრისტეს მიერ ქადაგებული სიყვარული მოყვასისადმი! რადგან წვრილმან პიროვნულ ინტერესებს გადაცვივართ და «ჩვენ»-ს მაგიერად «მე»-ს ვადმერთებთ! ერთს რომ სატირალი გვაქვს, მეორეს ეს სატირალი სასაცილოდ მიაჩნია, და პირმებრუნებული იღრიჯება. ერთი რომ რამე კეთილ საზოგადო საქმეზედ იღვწის, მეორე წინ ეღობება და მისს მუდამ სახსენებელ «მე»-ს აფუფუნებს. ვაი თუ ამ საზოგადო კეთილმა საქმემ რამე ბრწყალი გადაჰფაროს ჩემს «მე»-ს და ფუფუნება მოაკლოსო! ერთი რომ მოყვასის კეთილ-დღეობისათვის თვალ-ში იწურება, მეორე შორე ახლოდამ პირველის მოქმედებას ფრთასა სტეხს უმეცარი ხალხის თვალში, ეშინია და ეხარბება, ვაი თუ რამე საზოგადო სახელი, სიყვარული და პატივისცემა დაიმსახუროს პირველმა და ჩემს «მე»-ს ამით «მეობა» მოაკლდესო!—სამწუხაროდ, ეს ზემოთქმული რომ ნამდვილი ჭეშმარიტებაა, ამას ფიცი მტკიცე არ უნდა!

მივუბრუნდეთ ისევ დღეობების მოსპობას. სოფ. სალხინოს (ქუთ. მაზრაში) მკვიდრთა იცოდნენ დღეობა «სულის წმიდის მოფენის დღე», რომელზედაც უზომო და უსარგებლო ხარჯი მოსდიოდათ. საშვალო რაცხვით 300 მანეთამდის იხარჯებოდა უკველ წლობით ამ დღეს სოფელში, და ამავე დროს ამ სოფლის ეკკლესია ერთობ ღარიბი და უვარგისი იყო. ხალხი ღარიბდებოდა ამ დღის ხარჯით, რომელსაც ზნეობის და მახინჯების მეტი სარგებლობა არ მოჰქონდა, და ის ერთად ერთი სულიერად ამამაღლებელი ღვთის სახლი კი უყურადღებობით იმტვრევოდა!—ადგილობრივი მღვდლის და რამდენიმე კეთილ-პირთა მეცადინეობით ამ სოფლის მკვიდრთა მოსპეს ეს დღეობა და იმ ხარჯით, რაც იმ დღეს მოსდიოდათ, გადასწყვიტეს განაჩენის ძალით თავისი ხის ეკკლესიის შეკეთება და გამშვენება. ამ უ[illegible]ხსენებული ეკკლესია თანახმად ზემოთქმული განაჩენის ძალით შენდება და მოკლე დროში მზად იქნება. სალხინოელების მაგალითს მიჰყვნენ სოფ. ტობანიერის მკვიდრთა და იქაც გადააგდეს დღეობა «დადექოშა» 1 ენკენისთვე, რომლის შესახებ ამ ორის წლის წინედ «მწყემსშიდაც» იყო დაბეჭდილი შენიშვნა.

მის მაგიერად რომ ამ მშვენიერს მაგალითს მიჰბაძონ ზოგიერთმა მამებმა და ეცადონ თავიანთ სამწყსოებში დღეობათა მოსპობას, პირიქით თვითონვე ეწინააღმდეგებიან ამ საქმეს და გაიძახიან: «ხალხმა წლიურად ერთი დღეობა იცის და ცოდვაა, რომ მოუსპოთ ესეთი ჩვეულებაო. «იმ დღეს სანთლადვები ბევრი გვყავს, საწირავები შემოდის და შემოსავალი მოგვაკლდებაო» თითქოს სანთლავი და საწირავი იმ დღეს თუ არა, სხვა დღეს არ შემოუვათ! ეს ძალიან უსაფუძვლო მიზეზია! უარესი ცოდვა არაა, რომ ამ დღეობის წყალობით ისედაც ღატაკი ხალხი უარესად ღარიბ-ღატაკდება ნივთიერად და ზნეობით მახინჯდება?! რა სულიერი საზრდო მოაქვს ხალხისათვის ზემოდ აღწერილ დღეობას? უკანასკნელს მეგვამურს დღეობაზედ, ორთა-შვა რაცხვით, ოცი მანეთი მაინც დაეხარჯება, მაშინ როდესაც ამ გვარსავე მეგვამურს სახაზინო გადასახადისათვის, ოცი ხუთი მანეთი რომ ვერ გადაუხდიათ, ქვაბებს და სხვა უსაჭიროესს ნივთებს უყიდიან მოხელეები! ეს უარესი ცოდვა არ არის?—მესმის ისეთი დღეობა, როგორიც ძველად იცოდნენ და ზოგან ეხლაც იციან. ტაძრის დღესასწაულის წინ ღამით ეკკლესიის გალავანშიდ შეკრება, ღამის თევა, ლოცვით და გალობით დროს გატარება, მწუხრ-ცისკრის მოსმენა, თვით იმ დღეს წირვის მოსმენა, სანთლის და ფულის შეწირვა, ეკკლესიის გალავანშივე თავიანთივე მიტანილ სასმელ საჭმელზედ მეგობრულად დროს გატარება!... ერთის სიტყვით როგორც იცოდნენ ხატის მოლოცვა ძველად—და არა ახეთი დღეობა, როგორიც უმეტეს ნაწილად ეხლა იციან სოფლებში, რომელთაგან არავითარი სარგებლობა არ გამოდის, გარდა ჩვენი გაუნათლებელი ხალხის ნივთიერად გაღატაკებისა და სულიერად დამახინჯებისა!

დროა, გავარჩიოთ კეთილი ბოროტისაგან! პირველ ჩვენ მწყემსნი უნდა ვიყვეთ მაგალითი კეთილი საქმისა და ჩვენის მიხედვით სამწყსოც მოგვბაძავს.

მღვ. თეოფ. ნად—ძე.

ბიბლიოთეკა

# უ ე ბ ა რ ი ე ქ ი მ ი.

ერთი ქართული ანდაზა ამბობს: «ყური მისთვის არ იზრდება, რომ ხშირად სხვა და სხვა ახალი ამბები ესმისო». ეს ანდაზა მომაგონა ერთმა «უებარმა ექიმმა», რომელიც ამ ჟამად შორაპნის მაზრის სხვა და სხვა სოფლებში დაიარება თავისუფლად და ატყუილებს უმეცარს ხალხს. ამ მაზრის მცხოვრებნი, როგორც სოფლის ექიმ-მკითხავის მოყვარულნი, დიდის ალტაცებით ეგებებიან ამ ექიმს და სიხარულით იპატიჟებენ თავიანთ ოჯახებში, ვითომც ავადმყოფის მოსარჩენად. ეს მკითხავ-ექიმი ახალგაზდა კაცია, სულ ბევრი ოც-და-ერთი წლისა იქმნება, რომ თავის ექიმობის ცოდნაში მან უფრო ადვილად დააჯეროს ხალხი, იგი მოუთხრობს ყველას შემდეგ ამბავს თავის ცხოვრებიდგან, «ათი წლის ყმაწვილი ვიყავი, როცა მე ემწყსიდი საქონელს. ერთს სალამოზედ ჩემი საქონელი შინ გაპარულიყო, მე კი მარტო ვიდექი მინდორში. უეცრად დავინახე, რომ მინდორზედ მოგორავდა კაცის თავი. შეშინებულმა ავილე ჩემი პატარა თოფი, რომელიც ყოველთვის თან დამქონდა, მინდოდა მესროლა, მაგრამ, როგორც კი დაუმიზნებდი, თავი უკანვე იწყებდა წაგორებას. ამგვარად მივსდიე, მივსდიე ამ თავს და ბოლოს იგი ერთს დიდს კლდეზედ გადაგორდა. მეც თან გადავჰყევი. უთუოდ სასწაულობით მოხდა, თორემ ცოცხალს რა გადამარჩენდა იმოდენა კლდეზე გადავარდნილს! შემდეგ ეს მგორავი თავი ამ კლდის ძირში პატარა ვაკეზედ გაჩერდა. მივიხედ-მოვიხედე, ჩემს გარეშემო თვალით აუწვდენელი კლდეები იყო ამართული; აქედგან ასვლა ყოვლად შეუძლებელი იყო. მე შეშინებული გავჩერდი კლდის ძირში. ცოტა ხნის შემდეგ გამოვიდა კლდიდგან ერთი უზარმაზარი გველი, მას სხვა დიდი და მორჩილი გველებიც გამოჰყვენ და იმ მგორავს თავს დაუწყეს ლოკვა, მერმე ისევ უკან გაბრუნდნენ და მე კი ყურადღებაც არ მომაქციეს. ამ ოცნებაში დავრჩი მე თითქმის ოთხი დღე. შიმშილისაგან დაქანცული მივედი და მეც მოუსვი ენა ამ თავს; ამის შემდეგ მე ისე დავკმაყოფილდი, რომ შიმშილს აღარც კი ვგრძნობდი და იმ გველების ლაპარაკი ყველაფერი გავიგონე. ცოტა ხნის შემდეგ გამოვიდა ისევ ის დიდი გველი, აიმართა ამ კლდეზე, კუდი რომ ძირს ჰქონდა, თავი მაღლა აუწვდინა; მან ნება მომცა,ავსულიყავი მისს ხაოიან ზურგზედ და კიდეც ამოვედი კლდისთავზედ. გავიარე თუ არა რამოდენიმე მანძილი, უკან მომეწია ერთი მომფრინავი გველი და მითხრა: «შენ თუ ჩემს რჩევას მტკიცედ აღასრულებ, ერთს იმისთანა რამე ნივთს გაჩუქებ, რომ შენს სიცოცხლეში მის მეტი აღარა დაგჭირდეს რაო». შემდეგ მომცა ეს რჩევა: «დღეიდგან თერთმეტი წლის განმავლობაში ეს შემთხვევა და ყოველივე ჩემი ნაამბობი არავის განუცხადო, არც ღვინო დალიო და არც მდიდრულად ჩაიცვა და დაიხურო». ბოლოს დაუმატა: «თუ ამას ასე აღასრულებ, მეთერთმეტე წელიწადს იმ აღთქმულს საჩუქარს მოგიტან». მეც მის რჩევას დავადევგი და ეს შემთხვევა არავისთვის არ გამიმხელია აქამომდე. თერთმეტი წელიწადი წარსულს წელში დღით მარიობას გამიხდა; ამავე დღეს მოვიდა ჩემთან ეს მომფრინავი გველი და ორი თვალი მომიტანა და თანაც ეს მითხრა: «რაც ამ თვლებმა გიამბონ ხოლმე, ის აღასრულე და ყოველგვარ სნეულებას ჰკურნებო».

ეს მკითხავ-ექიმი, როგორც თვითონ ამბობს, ქართლში მცხოვრები ყოფილა. ყველამ კარგად იცის, რომ ჩვენი უგნური ხალხი მკითხავს სანთლით დაეძებს. გაიგეს თუ არა ამ უცხო ექიმ-მკითხავის მოსვლა ჩვენში, შეიქმნა ერთი მოძრაობა ხალხში; უანგარიშო ქალი და კაცი ეძებიან მას სოფლითი სოფლად და მიჰყავთ თავის ოჯახში ავადმყოფის მოსარჩენად. დღე არ წავა ისე, რომ ხუთი, ათი ოჯახი არ ინახულოს ამ ექიმმა, რაისათვის რასაკვირველია, დიდ ძალ ფულებს ღებულობს «პრაგონად». მივა თუ არა რომელიმე ოჯახში, იგი მოითხოვს თევშს, დაასხამს ზედ წყალს, ჩააგდებს შიგ იმ ნაჩუქარ თვლებს, დაუნთებს ოთხ კუთხივ სანთლებს, მოჰყვება რაღაცა ლოცვებს და ეუბნება ოჯახის პატრონს: „ავად მყოფი მორჩება თუ არა, ამას ეს ჩემი თვლები მეტყვიან და წამალსაც ისინი მომცემენ ცა წმინდიდგან, და თუ ამათ ვერ მაიმედეს, მე ჩემ თავად არასფერი არ შემიძლიანო“. აი, ამნაირი ოინებით ატყუილებს იგი საწყალ უგნურ ხალხს. ეს ახლად გამოჩენილი ექიმი წამლის ფასს ავად მყოფის მოსარჩენად არ თხოვილობს თურმე წინდაწინ, გარდა ფეხის ქირისა. გასაკვირველი უფრო ის არის, რომ იგი ჩემულობს ყოველგვარი სნე-

ულის მორჩენას; უშვილო ქალებსაც კი ჰპირდება თურმე განაყოფიერებას. მე ამ სტრიქონების დამწერმა, თუმცა დაუმტკიცე მრავალს ამ მატყუარა ექიმის ცბიერობა, მაგრამ იგინი მაინც ჯანიოზ ექიმად ითვლიან მას და დიდის პატივის-ცემით ეპყრობიან და კიდეც მიჰყავთ ოჯახებში.

ურიგო არ იქმნება, რომ ამისთანა მატყუარა ექიმებს ყურადღება მიაქციონ, ვისიც რიგია და საწყალი უგნური ხალხი დაიხსნან უბრალო ხარჯისაგან.

მ. გ. რ—მე.

## «მწყემსი»-ს კორრესპონდენცია

შორაპნის მაზრიდამ.

დღეს ყოველი მღვდელი სცდილობს, რომ თავის სამრევლოში გახსნას სამრევლო სკოლა, რომელთა რიცხვმა ამ ბოლოს დროს ძალიან იმატა. იმედიც არის, რომ ამ სამრევლო სკოლებში სწავლის საქმე რიგიანად წავა, რადგან დღეს სემინარიაში სწავლა დამთავრებულნი პირნი სიხარულით მიდიან მღვდლად სოფლებში. სამწუხაროდ ჩვენს ს. კიცხში დღემდის არავის არ უზრუნია სამრევლო სკოლის გახსნისათვის, თუმცა ამ სოფელში მრავალნი პირნი არიან, რომელთაც ჰსურთ თავიანთ შვილებს წერა-კითხვა მაინც ასწავლონ. ამ სოფელში სცხოვრებს 140 კომლამდე აზნაური და გლეხი და მათში, ვგონებ. ოცმა კაცმაც არ იცის წერა-კითხვა.

დიდი ხანი არ არის, რაც ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისაგან გამოწესებულ იქმნა ჩვენს სოფელში მღვდლად მ. გიორგი ანთაძე, რომელმაც მისდამი რწმუნებულ სამრევლოში მოსვლისათანავე ყურადღება მიაქცია ჩვენი ღარიბი ეკლესიის გამშვენებას და შესაფერად მოწყობას, და მასთან შეუდგა საეკლესიო სამრევლო სკოლის დაარსებას. მ. ანთაძემ მოიტანა თავის საკუთარი სახლი სკოლისათვის კიცხში, მოაწყო იგი შესაფერად, მასწავლებლად მოიწვია ქუთაისის სასულიერო ოთხ-კლასიან სასწავლებელში სწავლა დამთავრებული პირი. სკოლა აკურთხეს წარსული წლის 17 ოქტომბერს ხელმწიფე იმპერატორის და მისი უავგუსტოესი სახლობის სასწაულებრივ გადარჩენის სახსოვრად. დღეს ამ ახლად გახსნილ სკოლაში სწავლობს 45 ვაჟი და 14 ქალი. სწავლის ფასი არის ძალიან მცირე: თითოეული მოსწავლე იხდის წელიწადში 3 მანეთს. ამისთანა კეთილი და სასარგებლო საქმის სისრულეში მოყვანისათვის მარტო ნივთიერი შეძლებაც არ ყოფილა საკმაო, თუ კაცს მასთან არა აქვს სურვილი თავის თანამდებობის რიგიანად ასრულებისათვის. მ. ანთაძეს წარსულს წელში ცეცხლმა დიდი ზარალი მისცა. მას დარჩა მარტო ის ერთი სახლი, რომელიც დღეს ჩვენს სოფელში მოიტანა სკოლისათვის.

სკოლის გახსნის გარდა მ. ანთაძე მადლობის ღირსი არის აგრეთვე იმ გულ-მოდგინეობისათვის, რომელსაც ის იჩენს ჩვენი ღარიბი ეკლესიის გამშვენების საქმეში. მან მოსვლისათანავე მოიპოვა ორი ხელი სამღვდელო შესამოსელი და სხვა საჭირო ნივთები. დღეს სწორედ ესიამოვნება კაცს ჩვენს ეკლესიაში შესვლა. ეხლა მ. ანთაძე ცდილობს, რომ ეკლესიისათვის მოიპოვოს შესაფერი კანკელი.

დღემდის ჩვენს ეკლესიაში კვირა-უქმე დღეებში ხუთ კაცს ვერ ნახავდით, დღეს კი არა თუ წირვაზე, მწუხრის და ცისკრის ლოცვის დროსაც სავსეა ტაძარი მლოცველებით. მ. ანთაძე ყოველი წირვის შემდეგ მლოცველებს უკითხავს და უმარტავს დღის შესაფერს სიტყვებს, რომელთაც დიდი გავლენა აქვსთ მლოცველებზე.

მ. გიორგი ანთაძის მეცადინეობით მრავალი ცრუ მორწმუნეობა და მრავალი უბრალო ჩვეულება მოისპო ჩვენს მრევლში. ამისი მეცადინეობით დღეს ძვირად ნახავთ, რომ ჩვენს სოფელში ალაპების დროს ისე უხვად ხოცდენ საქონელს და აფუჭებდენ სხვა ხორაგს, როგორც ეს დღემდის იყო.

მრევლიც ძალიან მადლობელია თავის ახალი მოძღვრისა, რომელიც მუყაითად ასწავლის თავის სულიერ შვილთ სარწმუნოებას და ლოცვებს.

ამ ნაირად მოღვაწეობს მ. გ. ანთაძე თავის სამრევლოში და ღმერთმა ინებოს, რომ ამისთანა მუყაითობა და საქმის სიყვარული არ მოჰკლებოდეს მას და ნაყოფიერი ყოფილიყოს მისი სამსახური ქრისტეს ყანაში.

პ. ნ. მაჭ—რიანი.

## მეგრულიდან ქართულად ნათარგმნი «მამაო ჩვენო»-ს გამო.

კარგი ხანია მას აქეთ, რაც ჟურნალ-გაზეთები ლაპარაკობენ, სწერენ, ბაასობენ და ამტკიცებენ მეგრული ენის ქართულ ენასთან ნათესაობას, თუმცა ამის დამტკიცებას ბევრი თავის მტვრევა და გამოძიება არ სჭირია. ამაზე ბევრი ლაპარაკი არც კი ღირს; არა ღირს იმისათვის, რომ ვინც თვალ-ყური ადევნა ამ საგნის შესახებ დაწერილს წერილებს, იმას თითოეული წერილი, თუგინდ რომელიმე მათგანი სუსტი კალმის ნაწარმოებიც ყოფილიყოს, ქართულის და მეგრული ენის ნათესაობაზე საკმაოდ დაარწმუნებდა, თუ კი მკითხველს ჭეშმარიტების სასმენათ გაღებული ჰქონდა ყურის კარები, რადგან თითოეულს წერილში ასობით და ორასობით იყო ჩამოთვლილი სიტყვები, რომელთაც მეგრელი იქნება მეგრულს ეძახის, მაგრამ წმინდა ქართული კი არის. ბევრს ნუ ვიწუხებთ ამისათვის თავს, ჩვენ მხოლოდ თვალ-ყური ვადევნოთ შორიახლო და, თუ მაინცა და მაინც, ხან-დაან ასე შევუძახოთ: «ვიდრემდის კვლობთ ორითავე გოჯითა?!»

დღევანდელი ჩემი ბაასი გამოიწვია ბ. ვ. მასხულიას წერილმა, რომელიც ამ წლის «მწყემსი»-ს პირველს ნომერში იყო დაბეჭდილი. ქვეყანაზე საკვირველი არა არის რა, მაგრამ ამ წერილში მოყვანილმა ქართულიდან მეგრულათ ნათარგმნმა «მამაო ჩვენო»მ, მართალი უნდა ვსთქვა, კი დამაფიქრა. დამაფიქრა იმიტომ, რომ მე ჩემი თავი ამ დროს წარმოვიდგინე, ვითომ ეკკლესიაში ვდგევარ და ლოცვას ესმენილობ და, თუ ხუმრობით არის დაწერილი, ღმერთმა შეუნდოს მთარგმნელსაც და მომსმენსაც. აქ რომ ხუმრობა არ არის, ამას ყველა ვხედავთ, მაგრამ საქმე მაინც უნდა გაისინჯოს. ყოველი კაცი, რომელი სჯულის, სარწმუნოების და ენაზე მოლაპარაკეც უნდა იყოს იგი, სცდილობს, რომ მასზე უფროს კაცთან ზრდილობიანის, საუკეთესო გამოძებნილი და გამორჩეულის ენით ისაუბროს, სთხოვოს სათხოვარი, არძით თუ სიტყვიერად, ხოლო ქართულიდგან მეგრულად «მამაო ჩვენო»-ის მთარგმნელს ეს ჭეშმარიტება უარ-უყვია და როგორც ცხვრის მწყემსი ლაპარაკობს მთაში თავის ამხანაგთან მოუფიქრებლად, წარამარათ, ისე ადვილათ, ისე წინ დაუხედავად სთარგმნის «მამაო ჩვენოს» ღვთის ტაძარში სალოცველად, ღვთისადმი დიდების აღსავლენელად, თვით ღმერთთან სალაპარაკოდ; იმ «მამაო ჩვენოს», იმ საუფლო ლოცვას, რომელიც თვით უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ თავისი პირით სთქვა და გვასწავა, რომელიც უაღრესია ყოველთა ლოცვათა! ღმერთო გვაპატიე! ღმერთო შენ თვითონ უწყი, რომ კაცი ყველაფრის გამბედავია! ვინ უნდა სჯიჯგნოს თავისი მანკიერი ხელებით უფლისაგან თქმული სიტყვანი, დაამახინჯოს და ისე დაუგდოს ქრისტეს სიახლით მოსყიდულს ხალხს, ნაცვლად წმიდა და უმანკო ლოცვისა!.. ღვთისგან ყოველივე შესაძლებელ არს, მაგრამ, ღმერთმა შეუნდოსო, ჩვენ კი ვერავის ვეტყვით ამისთანა მძიმე შეცოდებაზე. საჭირო და სასარგებლო რომ ყოფილიყო საღმრთო წერილის ქართული ენიდგან მეგრულს ენაზე თარგმნა, ნუ თუ არ გამოჩნდებოდა ვინმე, რომ იგი გადაეთარგმნათ ამდენი ხნის განმავლობაში? ვის არ გაუგონია შემდეგი სიტყვები: „ჭყონდიდელი — როდინდელი?— არონისებრ ძველი მღვდელი“. ამასაც თავი დავანებოთ, რომ საუბარი არ გაგვიგრძელდეს.— ბ. მასხულია ბუნებით მეგრელია და ასე ამბობს: «შეიძლება მრავალმა სთქვას, რომ ეს «მამაო ჩვენო» კარგი ნათარგმნიაო და მართალსაც ამბობს; მთარგმნელს კისერიც რომ მოეტეხა, მეტს ვერას გახდებოდა, მაგრამ ღვთის ტაძარში სალოცავად?! ღმერთმა ნუ ინებოს!

აქ ჩვენ პირდაპირ გადავთარგმნით იმ ნათარგმნ მეგრულს სიტყვებს ქართულად, არა მეგრელთათვის საყურადღებოთ, რომელთაც უამისოთაც კარგად იციან, არამედ მათთვის უფრო, ვინც მეგრული არ იცის და თუ ეს «მამაო ჩვენო» ღვთის ტაძარში სალოცველად

გამოსადეგია, ან ზრდილობიან ლაპარაკათ მისაღები, ადვილათ გაიგებს. აი პირ-და-პირი ნათარგმნიც:

| | | | |
|---|---|---|---|
| მუმა . . . | მამა | ქომუჩი . . | მომეცი |
| ჩქინი . . . | ჩვენი | ჩქი . . . . | ჩვენ |
| ნამურექუ . | რომელიხარ | ამუდღა . . | დღეს |
| ჟი . . . . | ზეით | დო . . . . | და |
| ცას . . . | ცაში | ქომაპატიი . | მაპატივე |
| წიმიდე . . | წმიდა | ჩქინი . . . | ჩვენი |
| ორდას . . | იყოს | ვალეფი . . | ვალები (თანადებნის მაგიერ) |
| სახელი . . | სახელი | | |
| სქანი . . | შენი | თეში . . . | ისთე |
| ქუმორთას . | მოვიდეს | მუჭოთი . . | რავაც |
| მაფობაქუ . | მეფობამ (ვითომ სუფევა) | ჩქი . . . . | ჩვენ |
| | | ვაპატიენთ . | ვაპატიევებთ |
| სქანქუ . . | შენმა | ჩვინი . . . | ჩვენი |
| ორდას . . | იყოს | მოვალეენს | მოვალეებს |
| ნება . . . | ნება | დო ნუ . . | და ნუ |
| სქანი . . | შენი | მიშამიყონანქ | შემიყვან |
| მუჭოთი . | როგორც | | |
| ცასუნი . | ცაში | ჩქი განსაცდელში | ჩვენ განსაც- |
| ეთეში . . | ისთე | | |
| ქიყვანას . | ქვეყანაში | დოგირშამარსხი | და გამომიხსენ |
| ქობალი . . | პური | | |
| ჩქინი . . . | ჩვენი | ჩქი ბოროტიშე | ჩვენ ბოროტიდგან. |
| ოსქილადარი | სარჩენი (ქარა არსებისა) | | |

აქ მოყვანილი ქართული სიტყვები გახლავთ ამ მეგრულის თარგმანი და არა «მამაო ჩვენო»-ში ნახმარი სასოებიანი სიტყვები: «ცათა შინა», «მოვედინ სუფევა შენი», «პური ჩვენი არსებისა», «მომიტევენ ჩვენთანა ნადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა» და სხვ... ჩამოვიკითხოთ თავიდგან ბოლომდის აქ აღჩერილი ქართული «მამაო ჩვენო» და მაშინ კი ადვილათ მიხვდება ყველა, ვინც მეგრული არ იცის, თუ როგორ სასოებას მოგვრის მსმენელს ამ გვარი ლოცვა ეკკლესიაში.

რაჟდენ სააკაძე(?)ხელი.

# მღვდლის საიდუმლო.

(გაგრძელება *)

მღვდელ-მთავრის პასუხმა ვერაფრად აწუხება მ. იოანნე; ამ პასუხმა მხოლოდ მ. იოანნეს განუმტკიცა სარწმუნოება და გულსმოდგინება ღვთის ნებისადმი. ამ დღიდგან მ. იოანნე მხნედ იტანდა თავის უბედურებას, თუმცა, როგორც ქვემოდ დავინახავთ, განსაზღვრულ დრომდე.

აი, მ. იოანნეს ალაყაფის კარებს მოადგა ურემი; ამ ურემში ისხდა ორი სალდათი, რომელთაც უნდა წაეყვანათ მამა იოანნე გუბერნიის საპატიმროში.

მღვდელმა, ლოცვით და სარწმუნოებით გამხნევებულმა, დაწყნარებულად ჩაიცვა სამგზავრო ტანისამოსი, სამჯერ მუხლი მოიყარა ხატების წინაშე, აკურთხა და გადაჰკოცნა თავის შვილები, და ბოლოს მივიდა ცოლთან.

მ. იოანნეს ჰსურდა მადლობა ეთქვა ცოლისათვის, რომელიც მისი ერთგული მეგობარი იყო, და რომელმაც მიანიჭა მას ოჯახური ბედნიერება; მწად იყო ეთქვა ცოლისათვის, რომ იგი საუკუნოდ დაუვიწყარი იქმნება მის გულში; მაგრამ ცოლი ტირილით მოეხვია მ. იოანნეს კისერზედ და მისი ტირილისა და ვაების გამო აღარ ისმოდა მ. იოანნეს სიტყვები. ცოლი სთხოვდა მ. იოანნეს, არ დაეტოვებია იგი მარტოდ, გაემხილა მისთვის ის საიდუმლო, რომელმაც თავსზარი დასცა მთელს მათ ოჯახს.

— არ შეიძლება! გაჯავრებით მიუგო მღვდელმა ცოლს. ეს ჩვენი ნება არ არის. აქ არის ღვთის ბრძანება.

ამ სიტყვებით მოშორდა მ. იოანნე თავის საყვარელს მეუღლეს და გამოვიდა ქუჩაზე სალდათებთან, რომელნიც მას ელოდენ. მ. იოანნემ სთხოვა სალდათებს, რომ იგინი შეჩერებულიყვნენ იმ სამრევლო ეკკლესიასთან, სადაც მ. იოანნე მსახურებდა, და სალდათებიც დაჰპირდენ თხოვნის ასრულებას.

ერთი წამის შემდეგ მ. იოანნე შევიდა ტაძარში, რომელიც მისი შრომით იყო გამშვენებული. მან თვალი გადაავლო მოოქრილ კანკელს: მასზე მან დაინახა კრება ქრისტეს მოწაფეებისა.

აი, იგინი, მოწამენი ქრისტეს სარწმუნოებისა, იფიქრა მღვდელმა. ზოგნი მოიკვლინეს—სხვანი განიკურნეს და წყლულებითა გამოიცადნენ, სხვანი გიდე[...] ბორკილითა და პატიმრობითა და ქვით დაიქოლნენ და ხრმითა აღესრულნენ... მოწაფეებში ზემოდ გამსჭვალული იყო ჯვარზე თვით უფროსი და შემასრულებელი სარწმუნოებისა ქრისტე, რომელიც ღირსეული მხიარულების ნაცვლად იქმნ[...]

---

*) იხ. «მწყემსი»-ს № 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამცირებულ. ხოლო შენ, უღირსო მოსამსახურევ საკურთხევლისავ, ჯერ ხომ კიდევ იმოდენი არ გიღვაწია, რომ სისხლი დაგენთხია. წადი, წადი და მოთმინებით ატანე, რაც მოგელის.

და როცა ამას ელაპარაკებოდა თავის თავს, მ. იოანნემ იგრძნო უფრო დიდი სიმხნე და ძალა. ემთხვია ტრაპეზს და ხატებს და შემდეგ გამოვიდა ტაძრიდგან და უთხრა სალდათებს:

— მხლა კი წამიყვანეთ მე, სადაც ნაბრძანები გაქვსთ.

გუბერნიის ქალაქში არა ერთხელ ჩამოართვეს მ. იოანნეს ჩვენება. როცა მას ჰკითხავდენ, იცნობს ის თუ არა თავის თავს დამნაშავედ ი. მკვლელობაში იგი მიუგებდა ხოლმე: მე დამნაშავე არა ვარ ამ საქმეშიდ. როცა მ. იოანნეს კითხვიდენ: ვინ მოჰკლა ი., ამაზე მ. იოანნე ან გაჩუმდებოდა, ანუ ღმერთს ევედრებოდა და თავის თავად ამბობდა: „უფალო დამიცევ! უფალო გამამხნევე!“ როცა მას სთხოვდენ იმ გარემოებათა განმარტებას, რომელნიც მასზე ეჭვსა სდებდენ, ამაზე მ. იოანნე ამბობდა, რომ მას არასფრის განმარტება არ შეუძლია, ვინაიდგან უფალმა დასდო საცრო პირსა ზედა მისა.

და ბოლოს მ. იოანნეს მკვლელობისათვის გარდაუწყვიტეს ყოველივე ღირსების ჩამორთმევა და კატორღაში გაგზავნა.

მ. იოანნე მზად იყო მიეღო სასჯელი. მაგრამ მასზე შემდგარს განაჩენში იყო ისეთი რამ, რაც მას შეუნიშნავად დარჩა, და რომელმაც შემდეგში მას თავსზარი დასცა, და დიდ მწუხარებაში ჩააგდო, ამიტომ მისი პირისაგან მოისმა საყვედურის ხმა. ღირსების ჩამორთმევით მ. იოანნეს ეკრძალებოდა აგრეთვე ყოველგვარი მღვდელ-მოქმედება,

შემდეგ მ. იოაანეს ჩამოართვეს ხელწერილი, რომ იგი არ აღასრულებს არც მღვდელ-მოქმედებას, როგორც მღვდელი, არც არავის ლოცვა-კურთხევას მისცემს და არც ჩაიცვამს, როგორც მღვდელი. მ. იოანნემ მისცა ხელწერილი. მაგრამ ამ საქმემ წარმოუდგენელად შეაწუხა მღვდელი. აქამომდე მ. იოანნე ყოველივეს მხნედ ითმენდა, მაგრამ ეს კი ვეღარ მოითმინა.

იოანნემ დაიწყო ოხვრა და ხელების ფშვნეტა, შემდეგ მიბრუნდა მაცხოვრის ხატისაკენ და განუსჯელად დაიყვირა:

— უფალო, რაისათვის მომიელინე ყოველივე ეს? რაისათვის განმაგდე მე, რომ მე არ ვიმღვდელო შენს წინაშე? და დიდის მწუხარებით შეპყრობილი დაეარდა პირქვე.

რამდენიმე დღის შემდეგ მამა იოანნე სხვა დამნაშავეებთან ერთად გაგზავნეს დანიშნულს ადგილს. სამძიმო იყო ეს მგზავრობა. დიდი მანძილი იყო გასავლელი. საძნელო იყო მამა იოანნესათვის მაღნებში მუშაობა. მაგრამ იმისთვის უფრო საადვილო იყო მუშაობა, ვინემ მარტოდ დარჩენა. მგზავრობის დროს ანუ სამძიმო მუშაობის დროს იგი მუდამ დასვენებაზე და ძილზე ფიქრობდა; მაგრამ მოსვენების დროს მამა იოანნე სულიერად იტანჯებოდა. უფალო! წამოიძახებდა ხოლმე ამ შემთხვევაში მ. იოანნე: რისათვის განმაგდე მე, რათა არ ვიმსახურო შენი ტრაპეზის წინაშე?

(შემდეგი იქნება).

## მათხოვრები და მუქთამჭამლები.

(მანტეგაცადამ).

სიგლახაკე—სკოლაა ყველასთვის უსაქციელობისა და უზნეობისა.—შორს ჩვენგან, გლახაკნო!—მეცნიერთა აზრი სიგლახაკეზედ.—ფასით მოსილნი გლახაკნი და გლახაკნი სულითა.—საზოგადო განკიცხვა სიგლახაკისა.—ცისკარი მომავლისა, რომელიც უნდა აღმობრწყინდეს ფოსსის აზრით.

შესაძლებელია შეხვდეთ კაცებს, რომლებიც სამოწყალოს თხოულობენ ყოველის ნაყოფით უხვად დატვირთულს დედამიწაზედ.

ჰომიროსი.

თუ გინდათ, არ გყავდეთ გლახაკი, გამოიყვანეთ იგი კაცად.

ვიკტორ მოდესტი.

როცა გავივლი ქუჩებზედ სასახლეებით, ბაღებით და ძეგლებით მორთულს მდიდარს ქალაქში დაესტკბები ზევით ლაჟვარდი ცის ჭვრეტით,—უეცრად შემხვდება საზარელ დაფლეთილ ძონძებში გახვეული კაცი და გამომიშვერს ხელს სამოწყალოსთვის... მე მაშინ გული მისკდება და სული მწარე

ნაღვლით მევსება; ამ გვარ შემთხვევებში უნებურად ვიხედები აქეთ-იქით, და მგონია, რომ ყოველი გამვლელ-გამომვლელი უცხოა და გადამთიელი ჩემთვის.

გლახაკი რომ შეხვდებათ, ბევრი მიუგდებს ხოლმე მას ორიოდე გროშს და მით აიცილებს თავიდამ მის მაბეზარა ლოქვას; ზოგი კი გულგრილად აუვლის ხოლმე გვერდს. მე კი არც ერთი შემიძლია და არც მეორე. სამოწყალოდ გაცემულს გროშს მე ვსთვლი დაკარგულად სილარიბის ზღვაში; ეს სამოწყალო ძვალია გადაგდებული მშიერისადმი, მალამოა წასმული განუკურნველ წყლულზედ. მეორე მხრით კი უარის ყოფა, შეუბრალებლობა ამ შემთხვევაში შეგინებაა სილარიბის და შეურაცხყოფა ტანჯვა-მწუხარებისა! მათხოვარს რომ დავინახავ, სხვა გრძნობაზე უფრო სირცხვილსა ვგრძნობ,— მრცხვენია ჩემი ქვეყნისთვის, ჩემი დროისათვის, ჩემი თავისათვის, ამიტომ რომ მეც ხომ წევრი ვარ ამ საზოგადოების, რომელიც გულგრილად შესცქერის კაცის ბუნების ესრეთს დამცირებას.

მათხოვრობა და სიგლახაკე ყოვლად საზარელი და საზიზღარი სახეა სილარიბისა და სილატაკისა; მათხოვრობა არის მყრალი იარა შეხსნილი და გაშიშვლებული ყველას დასანახავად; იგია უბედურობა მოკლებული ზნეობრივს აზრს, იგია ტანჯვა-მწუხარება სირცხვილზედ ხელაღებული; მათხოვარს დაკარგული აქვს საკუთარი ღირსების გრძნობა. უცხო ქვეყნელ კაცს, რომელიც მდიდარ ქალაქებში ათობით და ასობით ხვდება სამოწყალოსათვის ხელგამოშვერილ გლახაკებს, ყოველი სქესისა და ასაკის, სირცხვილზედ ხელაღებულთ,—სრული უფლება აქვს სთქვას: **ეს ქვეყანა ჯერ კიდევ არ გამოსულა საშვალო საუკუნოების მდგომარეობისაგან. ამ ერს ჯერ არ შეგვიძლია უწოდოთ სახელი დიდი ერისა.**

ველური ხალხები ხან-დის-ხან ავადმყოფებს ჩამოაწყოიებენ ხოლმე ქუჩებზედ, რომ გამვლელმა იქნება რამე უშველოს, ან რამე საშველება ურჩიოს მათ. განა თქვენც ეგრე არ იქცევით? თქვენ არა ხართ ველურნი, მაგრამ აშკარად კი გამოგიფენიათ თქვენი იარები—თქვენი სილატაკე; თქვენც აგრეთვე დაგიყენებიათ მაიდნებზე, ქუჩებზე, ეკკლესიებთან თქვენი გლახები, რომლებიც თავს ირჩენენ გამვლელ-გამომვლელთაგან ჩამოთხოვილი სამოწყალოთი. მაშასადამე, თქვენც ჯერ კიდევ ველური ხალხების მსგავსი ხართ: თქვენ არ გრცხვენიათ, რომ ქუჩაზედ ჰკიცხონ და ლანძღონ ის ქვეყანა და ერი, რომელსაც თქვენ თვითონ ეკუთვნით.

მრთელი, საღი კაცი, რომელსაც მუშაობა შეუძლია და ხელს კი მაინც იშვერს სამოწყალოსათვის, უსირცხვილოცაა და უსინიდისოც; ამისთანა კაცს, რაც უნდა პატიოსანი იყოს, ცალი ფეხი ჩადგმული აქვს ბიწიერებასა და ავკაცობაში. ვინც მათხოვრობას ხელობათ იხდის, იგი გაფუჭებული და მავნებელი წევრია საზოგადოების. ამიტომ საზოგადოებამ უნდა განკურნოს ესრეთი წევრი, აღზარდოს იგი, ან და გააძევოს თავისგან როგორც მუქთა მჭამელი. საზოგადოება, რომელიც გულგრილად შესცქერის მათხოვრობას, პასუხის მგებელია შესახებ ყოველგვარ ავკაცობათა და უბედურებათა, რომელნიც წარმოსდგებიან შრომაზე ხელაღებული კაცებიდგან.

როდესაც ჩემში ლოღიკა ადგილს უთმობს სიბრალულს და მეც ვაძლევ გლახაკს სამოწყალოს, არ ვიცი, ვინ უფრო იმცირებს თავს ამ შემთხვევაში: ის ლატაკი, რომელიც იღებს სამოწყალოს ჩემგან, თუ მე—გულითადი მწუხარებით მიმცემი ამ სამოწყალოის. მართალია ჩვენმა თანამედროვე განხრწნილმა და სნეულმა საზოგადოებამ შექმნა მუქთახორა, რომელსაც ჩვენ *გლახაკს* ვუწოდებთ, მაგრამ მე, განათლებულს და თავისი შრომით მცხოვრებს კაცს, არ შემიძლია გულგრილად ვუცქირო ამ საზიზღარს მუქთამჭამელს. დარწმუნებული ვარ, რომ ვინც თავის შეწყალებით აძლევს სიცოცხლის საშვალებას გლახაკებს და ამ სახით ამრავლებს მათ რიცხვს, მონაწილე ხდება ადამიანის ღირსების დამცირებაში და შერცხვენაში. ჭაობიან ადგილზედ რომ გაიაროთ, ჭაობებს ნურას დააბრალებთ, ამხილეთ მცხოვრებლები, რომელთაც ისინი არ ამოუშრიათ.

იოსებ ბზვანელი.

(შემდეგი იქნება).

## საისტორიო მასალა.

# მუჯრები

(გაგრძელება *).

## წილკნისა.

მე-XVII ს. ქ: ნებითა ღვთისათ:. მამისა ძისათა დაგვიყუენებია ჩვენ ერისათვის გიორგისა თან მემაცხედრემა ბატონის შვილმა ელენესა და ასულისა წმინდისათა არსება დებულისა დაუსაბმოსა და უსრულებელისა ღვთი ა მამისა დათან არასისა და თან მოსყადრისა პირველა საუკუნოსი თა შობილსა მამისაგან ღვთისა ძისა და ყოველად წმიდისა ცხოველსა მყოფელისა ერთა არსისა და სულისა წმინდისათა რომელთა იგი მეუფევება და უფლება და ხელმწიფება ერთა არსისა და განუყოფელა და არა არსა მათა შორისა განყოფა თვინიერა მიზეზი საგანთა რომელთა მიერა იქმნესა ალნაგანი ალებულა და არსანი არისა და ხილულანი და უხილავნი შექმნულა რომელანი იყო და არსა და იყოსა ყოვლადვე რომლისა სუფევისა არა არსა დასასრულა მეოხებითა ყოვლად უხრწნელისა და ყოვლად უბიწოსა ყოვლად ბრწყინვლისა დედოფლისა ჩვენისა ღვთისა მშობლისა მარადისა ქალწულისა მარიამისათა რომლისა მიერა ხორცითა ვსახებულა იქმნა პირველა საუკუნოთა და ჟამათა შობილი მამისაგან ძე და სიტყუ ღვთისა რომლისა მიერა დაიხსნა წყევა პირველისა მამისა ურნებისა მიერა მოწყევანული დაგრდაგარფვენილი ყოველთა ზედა შვილთა მისათა. რომლისათა მიერა დევ მტერობა დაყოა მშვიდობა ცასა და ქვეყანასა ძრიელებითა შეწევნითა ცხოველისა მყოფლისა ძელისა ცხოველისა ჯვარისა პატიოსანისათა რომელსა ზედა განიპყრნა მეუფემან დიდებისამან ქრისტემანა ღმრთმან უხრწნელნი მხლავნი თვისანი რომელსზედა დაითხია ყოველთა რომელთა გულთა წმიდა მყოფელი სისხლი და განმაწმენდელი ცოდვათა სოფლისათა წყალი თან მდგომრობითა წმიდათა უხორცოთა ზეცისა განწესებულა ცხრა არვეთა ცხრა თვე და ასათ ურულოთა მცელა მართებელთა ცხოვრებისა ჩვენისათა წმიდათა ანგელოზათა მთავარანგელოზთა მიქელა და გაბრიელისათა შეწევნითა და მეოხებითა წმიდასა წინასწარმეტყველისა წინ ბორბედისა და ნათლისა მცემელისა.

ნაშობთა დედათსა უზესთაესისა წინ მარხობისა იოვანესათა და ძეთა ქალწულისა ძეთა ქუხილისა დაუფიროს და ძმ დ უწოდებულისა მავერსასა მასა სუფლოსა მიმყარდან მოსილისა საყორელისა მოწაფისა მაცხოვრისა ქალწულა მახარებელისა ღვთისა მეტყაველისა იოვანესითა მეოხებითა წმიდათა ყოვლად ქებულთა ათორმეტთა ყოვლისა სოფლისა მამწირებელთა დითა ქადაგთა ღვთისა სიტყვისათა რომ ლთა ბადინთა მოძლრებითა მათითა მოიბდუნესა ყეველანი ნათესავნი პეტრე სასუფეველისა ცათ კლიტეთა მპყრობელისა და პავლე სამცამდე აღწევნულისა დუსმენელთა სიტყოთა მასმენელისა პირად ქრისტესა სახელდებულისა დასახათ მყისა მოწბანეთა მათათა სამეოცდა ათათა მოწაფეთა წმინდათა წინას წარმეტყველთა და ღვთისა მახილველთა შორითგანვე ქრისტესა ღვთისა სქმითა მამასწავებელთთა მეოხებითა შეწევნითა თან მდგომარეობითა ყოველთა წმიდათა ღვთისათა ხორციელთა და უხორცოთა ასრე რომე დაგვიყენებია ჩვენ ერისთავსა გიორგის და ბატონის შვილს ელენეს ჩვენისა სულისათვის მეალპეთა ჩემის ძმებისა ზაალ ერისთვის რევაზის შაკითხვითა ლუარსაბისასა და ქაიხოსრაოსითა (ჩვენთვინ) ოთარისა დიმერისა პაპუასი ზურაბისათა ჩვენთვინ შენდობას იტყოდეთ და შვილთა ჩვენთათვინ შენდობას დღეგძელობას გამარჯვებას იტყოდეთა ოველს სულმან შვილი უნდა გარდაგხდიდესა ოთხსა კოკას ღვინოს ამის კიდის ნამცხვარს პურს ერთი საკლავი სვილევი ძროხა ერთი ცხვარი ორს მღვდელის მისის. სანთელ საკმეველითა ჟამს აწირვინებდეთა დიდს შაბათს გარდიხდიდე ყოველმე და ვაჟის ძის შვილი ნათლის ღების დღეს ორორს კოდს პურს სამს კოკა ღვინოს სამს სამს ცხვარს სახორცესა და რვას გიორგობისთვის ცხრასა თვესა ოროლს ხუცესა მისისა სანთელ საკმელითა ჟამს აწირვინებდეთა კიდევ ბანცური ნინია ტირძნისისა მოურავი ენკენისა თვესა ერთი დღე რომე იდვას ერთს ლიტრასა და ნახევარ ჩარექ სანთელს ნახევრ ლიტრა საკმელს ერთ ჩარექ ზამბას და ერთისა თოხლითა და მისისა პურითა და ღვინითა ჟამს აწირვი-

*) იხ. «მწყემსი» № 2 1891 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებდე და ამასაც იმ დღეს მოიტანდე წლითა წლამდი ხეველთა ღამეთა დეკანოზი სანთლებს დაანთებდესა და კმევდესა სასაფლაოზედა რომილიც ამოსწყდეს და მის მამულზედ დასახლდეს სახოა კაცი ისრევსა გარდიხდიდესა არა ეთხოვებოდეს რა ერთისა საყრისა და მსახურობის მეტი რომელმაც ესა წიგნი ამიერთა უკუნისამდე შაშალოს ანუ ჩემა სახლის კაცმან ანუო ხელმწიფემა ანუ დედაკაცმა და ანუ სახომა კაცმა რაც ამაში წმიდანი სწერია პირველად ღმერთი და მერმე ყოველნი მისნი წმიდანი ხორციელნი ზეცისა და ქვეყანისანი ვინც ესეა წიგნი და სიგელი შეშალოსა რისამც დაუსაბამო და დაუსრულებელი ღმერთი მამა და ძე და სული წმიდა და ყოვლად უბიწო დედოფალი ღვთისა მშობელი მარადისა ქალწული მარიამა შენმცა ექნების ძრწოლა ეკლისა კეთრი გეზისა ცოცხლივ დანთქმა და თან მირონისა შიშთვილი იულობა დიასკორისი მიზეზდმაც დახდებისა მესადრევე წყევითა იგი ფსულმუნი ნურა რათამც სინანულითა იქმნებისა ხსნა სულის მისისა ვინც ჩვენ ესე წიგნი და სიგელი შაგვიშალოს ჩვენ ერისთავს გიორგის და ბატონისა შვილსა ელენესა ჩვენითამც ცოდვითა განკითხვითა მას მეორედა მოსვლის რაც ამაში წმიდანი სწერიან ვინც მოგვიშალოს შამც იცველებისა რჯული მისი ქრისტეანობისაგან და სულიმც მისი ნუმც იხსენების ჯოჯოხეთისაგან ვინც ესე სიგელი არ მოგვიშალოს ამა სოფელსამც გექნებისა შვილითა და თვითა გახარება და დღეგრძელობა და მასა გრძელისა საუკუნესამაც დიმკვიდრებისა სული მისი სამოთხესა როდესაც ეს წიგნი დაძველდესა დეკანოზი ახალს გარდააწერინებდესა და ბეჭედსაც ისევე დასვევდესა ვინც ამას შლა დაუწყოს ამა წიგნს უჩვენებდეს და ნურც დაიკარგებისაა ვინც დეკანოზი იქნებოდეს თუ კარგად ესა სამსახური ქნა რაც ამის წმიდანი სწერია ამათი'ამც მადლითა დილცები და თუ ავად გემსახურო ამათისიმც მადლით დაწყევლები და ცრულიმც იქმნებით მარდლითა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ეს გუჯარი იმდენად შესწორებული იბეჭდება, რამდენადაც საჭირო იყო აზრის გასაგებად. ეს გუჯარი შესანიშნავია მით, რომ ხმოვანი ასოები გამოტოვებულია იქ, სადაც საჭიროა და ჩართულია უადგილო ადგილას. გარდა ამისა, სიტყვები ,,რომელი'', და იწერება ,,რმლ'' ,,რმ'', ,დ'. გასაცნობლად გუჯრის ხასიათისა მოგვყავს ორ სამ ადგილს შეუცვლელად და გაუსწორებლად «სმის» კიდის გმცხვრს ზვრს, ერთი დსკლავი ძროხა, ერთი ცხვრი... სნთელი სკმეველითა ყმს აწირვინებდეთ დიდს შბთს, გარდიხდიდეთ... სმასმას ცხვრს... დმისის ზვრითა დღვინითა... წლითი წლამდი... ვინც ესეა წიგნი შაშლოსა რესხმცა დაუსბმო ღთი». ასე გარჩევ ამ ადგილს: სამის კიდის გამომცხვარს ზვრს, ერთი დასაკლავი ძროხა, ერთი ცხვარი... სანთელი — საკმევლითა ყამს აწირვინებდეთ დიდს შაბათს, გარდიხდიდეთ... სამსამს ცხვარს და მისის ზვრით და ღვინითა... წლითი წლამდი... ვინც ესე წიგნი შაშლოს რისხამცა დაუსაბამო ღმერთი"...

აი კიდევ ერთი ადგილი: „ნებ·თა და შეწევნითა... ჯვარისა პატიოსნისათა, რომელსა ზედა განიპყრნა მეუფემან დიდებისამან ქრისტემნა უხრწნელნი მკლავნი თვისნი... დათხია უოკველთა სისხლით». ასე მესმის: ნებითა და შეწევნითა... ჯვარისა პატიოსნისათა, რომელსა ზედა განიპყრნა მეუფემან დიდებისამან ქრისტემან უხრწნელნი მკლავნი თვისნი... და დაათხია უოკველთათვის სისხლი».

ენის მხრივ შესანიშნავია სიტყვები: ცხვრი=ცხვარი; სვრი=სავრი; სახოა=სასასო=შაშლა=შეშლა; უკვლად=უოკვლად; წინწრმეტყველი=წინასწარმეტყველი.

გუჯარს ბოლო აკლია, ამიტომ დრო, რომელსაც იგი ეკუთვნის არ შეიძლება აღნიშნული იქმნას. პალეოგრაფიული მისი ხასიათი იგი 16—17 საუკუნ. უნდა იყოს. ამ აზრს ამტკიცებს აქ მოხსენებული ისტორიული პირი. გიორგი ერისთავის თავის რამდენიმე ძმით ცნობილია ,,ქართლის ცხოვ.'' მასს ჰყავდა ცხრა ძმა, როგორც ამ გუჯარშიაც ვკითხულობთ. ზოგის სახელები ,,ქართ. ცხოვ.'' იცის: ზურაბ, რევაზ. ზოგისა კი არ იცის, თუმცა მათ ცოლებს ასახელებს. ეს გუჯარი ავსებს ამ ნაკლს ჩვენის მატიანისას. გიორგი ცოცხალი იყო ჯერ კიდევ 1610 წ.

# ახალი ამბები და შენიშვნები.

ათონის მთიდგან ქართველთა წმ. იოანნე ღვთის-მეტყველის სავანის ბერები გვწერენ შემდეგ საყურადღებო ამბავს:

«აქ მოვიდა ბენედიქტე (ბარკალაია) და შეადგინა სია ყველა იმ ნივთებისა, რაც რამ იმექონება ჩვენს სავანეში და თითოეული ნივთის ფასი თითქმის ერთ-ორათ მეტი აჩვენა სიაში. ამასთან აღმოჩნდა, რომ მ. ბენედიქტეს თვრამეტი ათასი მანეთის ბარათი ჰქონებია მიცემული პანტელეიმონის რუსების მონასტრის სახელზედ. ძლიერ დაგვაღონა ამ თვრამეტი ათასი მანეთის ვექსილმა, რომლის შესახებ დღემდის ჩვენ არასფერი გაგვიგონია და არც არასფერი ვიცოდით. აქ ერთმა ბერმა უჩივლა მ. ბენედიქტეს. ხომ მოგეხსენებათ, რომ აქ 20 სხვა-და-სხვა მონასტრიდგან შეიკრიბება თითო ბერი და ყველა საჩივრებს ესენი არჩევენ. ათონში ყველანი ამ დადგენილობას ემორჩილებიან. წარსდგა ბენედიქტეც ამ კრების წინაშე და იქამდისინ მიაწია საქმე, რომ ბენედიქტე კინაღამ დაიჭირეს, მაგრამ მან განუცხადა კრებას, რომ მე ათონს არ ვეკუთვნი და ამ სამართალს არ ვემორჩილებიო და წამოვიდა აქედამ კიდეც. რომელი ბერიც ათონშია, ის ათონის წესდებას უნდა ასრულებდეს და ვინც ათონის წესდებაზე არის დამყარებული, რასაკვირველია, ათონის მონასტრების სამართალს უნდა ემორჩილებოდეს, მაგრამ რადგან ბენედიქტემ განაცხადა, რომ რუსეთის სახელმწიფოს ვეკუთვნიო, ამისთვის აღარც მათ ჰქონდათ უფლება მისი დაჭერისა».

ჩვენ ამ წერილს არ დავბეჭდავდით, რომ თვითონ ბენედიქტე არ გვენახა და თვითონ მას არ ერწმუნებია ყველა ეს ნაამბობი. ეხლა, როგორც გავიგე, მ. ბენედიქტე სცდილობს, რომ აქაურებმა ქაღალდზედ ხელი მოუწერონ და მიანდონ მას საჩივრის დაწყება, და იგი კიდეც იმედობს, რომ ივერიის მონასტრის ადგილებს ამოიგებს. როგორც წინედაც გამოვსთქვით ჩვენ, ღმერთმან ხელი მოუმართოს მ. ბენედიქტეს, მაგრამ ჩვენ არ გვჯერა, რომ მან საქართველოს ამოუგოს რამე სხვა სახელმწიფოში, როდესაც მას თავისი საკუთარი ხელიდგან ეცლება და თავზედ ენგრევა. გავიგეთ და შევიტყეთ, რომ ერთ დროში საქართველოს სინას მთაზედ, იერუსალიმში, ათონში და კონსტანტინეპოლშიც ბევრი რამ ჰქონებია, მაგრამ ყველა ესეები წაუვიდა ხელიდამ. ძველს დროში ქართველები თავის ძმათა და მოყვასისათვის თავს სდებდენ და დღეს კი ერთი-ერთმანეთს კიტრივით თავს აგდებინებენ და სამარეს უთხრიან.

ყმებისაგან აღებული ფულებიდამ რაღაცა მეათედი ნაწილით ბანკი დააწესეს და ამ ბანკის გამოისობით ერთმანეთს შურის მაძიებლად გაუხდენ. ეხლანდელს დროში ყველას უმეტესად თავისი ჯიბა აქვს სახეში და არა მამულის საქმე. სწორედ მოგვბეზრდა ამდენი დაპირება და მოტყუება...

***

ოფიციალური წყაროდგან შევიტყეთ, რომ მეორე გამოცემა „Русское Слово"-სი, რომელიც შედგენილია ბ—ნ ი. გოგებაშვილის მიერ, მთავრობას მოუწონებია, როგორც რუსულის ენის სახელ-მძღვანელო (учебное руководство) ქართულ სკოლებში სახმარებლად. ამას უნდა დავუმატოთ, რომ სამოსწავლო წიგნების მოწონება სამ ხარისხოვანია,—მცირე ხარისხი ისაა, როცა წიგნს იწონებენ როგორც მაშველებელს (пособіе), საშუალო ხარისხი — როგორც სამოსწავლო მაშველებელს (учебное пособіе), ხოლო უმაღლეს ხარისხს შეადგენს, როცა წიგნს სახელმძღვანელოდ იწონებენ. სწორედ ეს უმაღლესი ხარისხი ნარგუნები აქვს „Русское Слово"-ს. ამ უმაღლესივე ხარისხით მოუწონებია ხსენებული სახელმძღვანელო სასულიერო მთავრობასაც და დაუდგენია,—საქართველოს საექსარხოსოს ყველა არქიელებს მიეწეროს ყველა სასულიერო და სამრევლო სკოლებში რუსულის ენის სახელმძღვანელოდ იხმარონ «Русское Слово». («ივერია»).

***

სოფლის ორლულის წმ. გიორგის ეკკლესიის კრებული გვწერს:

„უმორჩილესად გთხოვთ, გულითადი მადლობა გამოუცხადოთ თქვენის პატივცემული ჟურნალის „მწყემსი"-ს საშუალებით აზ. უჯრამან გარჩევანის ძეს მაჭავარიანს, რომელმაც შემოსწირა ხსენებულს ეკკლესიას ფრაქას ბარძიმ-ფეშხუმი თავის მოწყობილობით და ერთი საცეცხლური, ღირ. 45 მ.

## მიიღება ხელის-მოწერა 1891 წლისათვის ორ კვირეულ გამოცემათა ქართულ

# „მწყემსზედ"

## და

## რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზედ

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახორციელო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა, ზემოხსენებულის პროგრამმის აღსრულების გარდა, არის — 1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო «მწყემს»-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დაშორებული კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას.

### ფასი გაზეთისა:

| | | |
|---|---|---|
| 12 თვით «მწყემსი» 5 მ. | 6 თვით «მწყემსი» 3 მ. | |
| — ,, ორივე გამოცემა 6 » | — ,, ორივე გამოცემა 4 » | |
| — ,, რუსული ,, 3 მ. | — ,, რუსული ,, 2 მ. | |

რედაქციას აქვს კანტორები: **ქუთაისში** ხანანაშვილების სახლებში და **ყვირილაში** რედაქტორის საკუთარს სახლებში.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც **ყვირილაში**, აგრეთვე **ქუთაისშიაც**.

გარეშე მცხოვრებთა გაზეთის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газетъ „МЦКЕМСИ" и «ПАСТЫРЬ».

---

## «სასულიერო მოამბე საქართველოს საექსარხოსოჲსა»

### პირველ მარტიდამ 1891 წლისა

გამოიცემა თბილისის სასულიერო სემინარიასთან ორ ჯერ თვეში ორიდამ სამ საბეჭდავ ფურცლამდე რუსულს ენაზე, ზოგი სტატიების (საკითხავების) გადათარგმნით ქართულს ენაზე — შემდეგის შინაარსით:

ოფიციალური ნაწილი. უმაღლესი ბრძანებანი, უკაზები წ. სინოდისა, განკარგულებანი უმაღლესი სასულიერო და ადგილობრივის საეპარქიო მთავრობათა; ცვალებანი პირთა, რომელნიც სასულიერო უწყებაში მსახურებენ საქართველოს საექსარხოსოში; უწყება მოქმედებათა «კავკასიაში მართლ-მადიდებლობითის ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებისა» და მისი ანგარიშებიცა; ცნობანი საექსარხოსო სასულიერო სასწავლებელთა ანგარიშები და მოწაფეთა სახარისხო სიები, ანგარიშნი შესახებ შემოსავალ-გასავლისა ეპარქიულ მზრუნველობათა და სასულიერო სასწავლებელთა.

არა ოფიციალური ნაწილი. სწავლანი, მოძღვრებანი, სიტყვანი და გარეშე ეკკლესიის სამოძღვრო ბაასობანი; ცხოვრება წმიდათა, მსოფლიო ეკკლესიისა და განსაკუთრებით საქართველოს ეკკლესიისა; ბიოგრაფია და ნეკროლოგები იმ თანამედროვე პირთა, რომელთაც თვისის მოქმედებით სარგებლობა მოუტანიათ ეკკლესიისთვის; სტატიები, უმეტესად შესახებ საქართველოსა, ზნეობრივის ისტორიულის და აღწერილობითის ხასიათისა; მატიანე საქართველოს საექსარხოსოს ეკკლესიურის ცხოვრებისა და მიწერ-მოწერანი მისთა საეპარქიოთაგან; განმარტებანი საეჭვო კითხვათა სამღვდელო მოქმედებათა შესახებ; პასუხები სხვა-და-სხ. საყურნალო სტატიებზე საქართველოს საექსარხოსოს შესახებ; ადგილ გასაგები ცნობები სახალხო ქცეობის შესახებ; ცნობანი და შენიშვნანი, და განცხადებანი.

ხელ-მოსაწერი სარედაქციო წლიწადი დაწყებული 1 მარტიდამ თავდება თებერვლით. ხელის მოწერა მიიღება თბილისის სასულიერო სემინარიაში. წლიური ფასი 4 მანეთი, ნახევარის წლისა — 2 მანეთი (გაგზავნა რედაქციის ხარჯით).

(3 — 1)

---

შინაარსი: ახალი მოწყალებითი მოვლინება ღვთისა. — პირველად ვის უფრო ცუდი ზედ გავლენა აქვს ბავშვებზე? — ამაოდ მორწმუნეობისა და მავნებელ ჩვეულებათა გამო. — უბარი ქალი. — „მწყემსი"-ს კორრესპონდენცია მორ. პ.ხის მაზრიდამ. — მეგრულიდან ქართულად ნათარგმნი „მამაო ჩვენო»-ს გამო. — მღვდლის საიდუმლო. — მათხოვრები და მუქთამჭამელები. — საისტორიო მასალა. — ახალი ამბები და შენიშვნები. განცხადებანი.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Доз. цензурою Кутаисъ, 14 Февраля 1891 г.
Типографія редакціи (Д. Д. Гамбашидзе) Въ Кутаисѣ, помѣщ. въ домѣ бр. Хананoвыхъ на Нѣмецкой ул.